



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მანხომვილი რევამ ივანეს ძე

მანხომვილი რევამ ივანეს ძე (დ. 20. IX. 1939, სოფ. მიგრიაულები, ახლანდ. დუშეთის მუნიციპალიტეტი), ქიმიკოსი. ქიმიის მეცნ. დოქტორი (1985), პროფესორი (1988), სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1998). 1959-64 სწავლობდა თსუ-ის ქიმ. ფაკ-ტზე. მუშაობდა საქართვე. მეცნ. აკად. ქიმიის ინ-ტში კოორდინაციული ნაერთების ლაბორატორიაში, 1968-87 - სსრკ მეცნ. აკად. ზოგადი და არაორგანული ქიმ. ინ-ტის კომპლექსნაერთთა ქიმიის ლაბორატორიაში (მოსკოვი). საქართველოში დაბრუნების შემდეგ ხელმძღვანელობდა (1987-2007) ქიმიის კათედრას და თავისსავე დაარსებულ ქიმ. სამეცნ.-კვლ. ლაბორატორიას თბილ. ს.-ს. ორბელიანის სახ. პედ. ინ-ტში (2005-იდან - ილიას სახელმწ. უნ-ტი).

მ-ის სამეცნ.-კვლ. მუშაობის ძირითადი მიმართულებაა გარდამავალ ლითონთა (Cu, Zn, Cd, Hg, Mn, Fe, Co, Ni) კოორდინაციული ნაერთების სინთეზი ალიფატური და არომატული რიგის პირველად და მეორეულ ჰიდრაზიდებთან და ამ ნაერთების ფიზ.-ქიმ. თვისებების კვლევა.

მ-მა დაადგინა კომპლექსნარმოქმნაში არომატული ჰიდრაზიდების მონაწილეობა და მათი კოორდინირების წესი; შეიმუშავა ლითონთა ჰიდრაზიდკომპლექსების სინთეზის მეთოდები.

მ-ის მიერ სინთეზირებულ მრავალრიცხოვან კომპლექსნაერთთაგან რამდენიმეს აღმოაჩინა ბიოაქტიური და სპეციფ. თვისებები, რისთვისაც მიიღო 7 საავტორო მონაწილეობა (1998). გამოქვეყნებული აქვს სამეცნ. ნაშრომები, რამდენიმე მონოგრაფია და სახელმძღვანელო. ეწევა ნაყოფიერ პედ. მოღვაწეობას.

თხზ.: ზოგადი, არაორგანული და კოორდინაციული ქიმიის ლაბორატორიის სახელმძღვანელო, თბ., 1996 (თანაავტ. ლ. გორჯოლაძე); კოორდინაციული ქიმიის შესავალი, თბ., 2004; Химия гидразидокомплексов металлов, М., 1997; Гидразин. Гидразиды, М., 2000 (თანაავტ. Ю. Я. Харитонов).
